894.631.2
ბ.12

ვიქტორ გაბესკირია

ქოთანი ბალიშლი

1946

894.631-2
3 1

ვიქტორ გაბესკირია

ქეთევან წამებული

(დრამატიული პოემა)

აჭარის სახელგამი
ბათუმი, 1946

Государственная Публичная Библиотека Автономной Республики Аджария

სამამულო ომში გმირულად
დაღუპული ძმის შალვას
ნათელ სსოვნას

„...გაგზავნა კაცი და შეუთვალა იმამყულიხანს. ვითარმედ „ქეთევან დედოფალი თუ გათათრდეს, ნურას აწყენო და, თუ არ გათათრდეს, აწამე და სასჯელით მოჰკალიო“.

„...ამაშინ იმამყულიხან დაუწყო ლაპარაკი ქეთევან დედოფალს ღა აუწყა ყეენის შემოთვლილი და უთხრა გათათრდიო. ხოლო ქეთევან არა უსმინა. მაშინ შეიპყრეს“.

„.. განხურვებული შამფურები გაავლეს მუცელსა და ძუძუ-მკერდ-შიგან, განხურვებული ქუაბი დაარჭუეს თავსა ზედან... და ყუეს მრავალი სატანჯველი...“

„...და რომელსა მიწასა ზედან აწამეს, ადგილსა მას არ-ღარა მოვა მწვანე და ჩანს ადგილი იგი ესრეთ, ვითარმედ უნახველნი სცნობენ აქა ქმნილა რამეო.“

მ ე მ ა ტ ი ა ნ ე.

ქეთევან წამებული *)

მომქმედნი პირნი:

ქეთევან დედოფალი

დავითი — სახლთუხუცესი კახეთის მეფისა.

ისკანდერ-ბეგი — სარდალი ირანელთა ჯარისა.

ბეჟანი — ყოფილი სახლთუხუცესი კახეთის მეფისა.

იათამზე — სახლთუხუცესის დავითის ძმისწული, ობლათ აღზრდილი.

შალვა — კარისკაცი, მხედარი, გლეხ-კაცი, ბავშვობიდანვე იათამზესთან ერთად აღზრდილი.

ღვთისავარ
მახარა } გლეხები.

იმამყულიხან — ბეგლარ-ბეგი შირაზისა

მოლა

ჯავაირა — ხასა ისკანდერ ბეგისა.

შევქეთ — ირანელი მომღერალი, აშუღი.

ექვთიმე
ელიოზ
დიანოს } ბერები, დავით გარეჯის მეუდაბნოენი.
თევდორე

ირანელი მხედრები. ქართველი ტყვეები ირანში, ბერები და სხვა...

---

*) ქეთევან დედოფალი, ასული აშოთან მუხრან-ბატონისა, ცოლი დავით მეფისა და დედა კახეთის მეფის თეიმურაზისა, საჯაროთ აწამეს 1624 წ. 13 სექტემბერს.

პირველი მოქმედება

(ირანის ელჩის ისკანდერ-ბეგის ოთახი კახეთის მეფეთა სასახლეში. საღამოვდება).

ისკანდერ-ბეგი

მალე გალავანს ღამის ჩრდილი დაეფინება.
სძინავს სასახლეს, სძინავთ, ალბათ თვით
მხედართმთავრებს.
ირგვლივ მდუმარე ხეთა ჯარი და ღამე მეფობს.
კაეშნიანი, ფერმიხდილი ამოდის მთვარე.
სულს რა მიშფოთებს, ან რა დარდი მიხშობს გონებას
მე, მრავალ ბრძოლის, მრავალ სპათა ყიჟინის მოწმეს?
ობლათ შთენილი თავი ჩემი მე რად მგონია
მაშინაც, როცა ცხრება ქარი და ცა პირს იწმენდს?
ასეთი სევდა მაშინაც არ დამუფლებია,
როცა ვიცავდი ციხე-კოშკთა ხავსიან ლოდებს.
ნეტავი ზრახვა განშერიდოს მე ამა სოფლის
და ან ის ჭოტი, ჭოტი მაინც არ გაჭიოდეს!
(ჩაფიქრდება)
ვიხილე იგი იქ, სად ჩრდილი ირხევა ხეთა,
როს ბაღში მსხდომნი შევეგებეთ მთვარის ამოსვლას.
მე უცხო სტუმარს, ხეივანში არ გადმომხედა,
სახეს სიმშვიდე და ფარული სევდა ემოსა.
და იმ დღის შემდეგ ნეტარებას მგვრის ბაღში გავლა,
მაგრამ ვერ შევხვდი და თან გული შემექნა ავად.
ასულო ჩემო, ნეტარების ფრთით მოვლენილხარ,
თუ დღეთა ჩემთა სიხარულის შესამუსრავად?
თავს რად გვარიდებ, იქნებ ფარულ სევდას ატარებ?
ვიცოდე მაინც, გულს რომელი კაეშნით ბურავ,
რომ განდგომილხარ, შენს ნორჩ გულში ნუთუ, პატარავ,
უკვე ფარულმა მიჯნურობამ დაისადგურა?

ფეხის ხმა ისმის, იქნებ ჩემებრ სხვაც ღამეს ათევს,
იქნებ კაცია მოგზავნილი? სიფრთხილე მმართებს.

(შემოდის ბეჟან. მორჩილად სალამს აძლევს)

თქვენს მოლოდინში, ვფიცავ ალაჰს, წამეროვა ღონე.

ბეჟან

და მეც იმიტომ თქვენთან მოსვლა ვერ დავაყოვნე.

ისკანდერ-ბეგი

სანუგეშო რამ იქნებ მამცნო და დამამშვიდო?

ბეჟან

თქვენს ერთგულებას ზოგჯერ თურმე შეუშინდები.

ისკანდერ-ბეგი

დიდსულოვანთა წესი არის, ერთგულო ჩემო,
ილაპარაკონ ყოველივე დაუფარავად.

ბეჟან

ფრთები დამცვივდა. მწვერვალიდან ვეშვები ძირს...

ისკანდერ-ბეგი

ილაპარაკე ყოველივე.

ბეჟან

რა ვქნა, რომ მიმძიმს...

ისკანდერ-ბეგი

სიმართლის არ თქმა სულმდაბლობის შესამოსია.

ბეჟან

რა ვქნა, უნდა ვთქვა: ამაოა, ელჩო თქვენი ცდა.

ისკანდერ-ბეგი

ნუთუ ასული იგი ჩემი ბედის თაღს აცდა,
აა იქნებ ეს ბედს ჩემთვის სამტროდ მოუგონია?

ბეჟან

კადნიერება ეგოდენი მე არ მქონია,
რომ მეთქვა თქვენთვის ამბავი რამ გამოგონილი.

ისკანდერ-ბეგი

თმენა არ არის, — მოჰყევ რა იცი?

ბეჟან

როს ბაღში გაველ დაღონებული დავეშვი ტყისკენ.
მას ტყისპირად მჯდომს თვალი მოვკარ
და ვიგრძენ მყისვე,
რომ მერგო წილად გამოცნობა—გამოუცნობის.

ისკანდერ-ბეგი

სთქვი, ნუ აყოვნებ, გულს იჭვების მედება ობი.

ბეჟან

როს მთავრის შუქმა ტყესთან ვერცხლის აასხა ღილი
გამოჩნდა ვაჟი და ასულის მკრთალი ღიმილი
ისე ვიდოდა, ვით ბადრი მთვარე.

ისკანდერ-ბეგი

ამბავი ესე, გესლიანი, თუ დაამთავრე?

(ჩაფიქრების შემდეგ)

ვინ არის იგი, ძე რომელ მთავრის ან დიდებულის?
რომელ ამირბარს სვე-ბედნიერს გაუხარია?
რად არ მპასუხობ, რად შეიქმენ ჩაფიქრებული?

ბეჟან

ვაი, რომ კაცი, ელჩო, იგი გლეხთაგანია.

ისკანდერ-ბეგი

(შეურაცხყოფილი)

ო, რაც დრო მიდის, ეშეცრებას ეძლევი უფრო,
აქ ეგ არ გავა, გზას ამცდარხარ, შეგცვლია მხარი,
ერთგულ მფარველთან ბელზებელის ენით საუბრობ
გაიმეორე!

ბეჟან

მართალია, მე რაც გითხარით.

ისკანდერ-ბეგი

მაშ, შენ ამბობ, რომ კახთ სამეფოს დიდ ამირბარის,
დავითის ძმისწულს გლეხი ვინმე შეჰყვარებია?

იათამზე

მითხარ, გჯეროდეს, შენ ამგვარი სიტყვის
თქმა გმართებს.

შალვა

რაღაც შიშსა ვგრძნობ, გამოუცნობს, გული მიტყდება,
მაგრამ მე მაინც ვერ შევბედავ უფალს სამდურავს,
რადგან პირველად ამ ცისკრისუამს თქვენი სიტყვები
ვით ნამი ცისა, ჩემს დავრდომილ სულს დაეპკურა.
სიამე ამა ქვეყნისანი მომრიდებია,
ჭირის, ვარამის, მწუხარების ვიყავ მომთმენი;
კვლავაც ამასვე შევიძლებ მე, ოღონდ შორიდან
ნუ მომაკლდება, ნუ მეკრძალვის მე ხილვა თქვენი.

იათამზე

მაგრამ თუ ბედმა უცხო მხარეს თან წარმიტანა?

შალვა

ბაღში უმზეოდ ეს ხე ყოფნას ‘მეიძლებს განა?

იათამზე

მზეს რად მადარებ?

შალვა

ალბათ, მასაც გაიგებ ბოლოს,
სიცოცხლეს ჩემსას ცხოველმყოფელ შუქს შენ ჰფენ
მხოლოდ.
რატომ ჩაფიქრდი?

იათამზე

მომაგონდა ჩემი ბავშვობა:
წყარო, ყვავილნი, ველ-მინდორი, ნიავი მთისა.
ო, ღმერთო ჩემო, რად მიგვრძნია იმ დღეთგან შვება,
სულმა ის დღენი რად შეირგო, რად შეითვისა!

შალვა

შენს სახელს, შენზე ნათქვამს ხშირად ვიმეორებდი
ტყეში თუ მინდვრად მოკრძალებულ,

ბეჟან

ვფიცავ მის სახელს, ვინაც შექმნა ეს ცა და ბარი
და რომლის ძალით ვარსკვლავები ცისკრის ჰქრებიან,
ჭეშმარიტებით სავსე იყო ეს საუბარი.

ისკანდერ-ბეგი

ნუ თუ სახელი მისი მე არ გამიგონია?

ბეჟან

შალვას ეტყვიან მას სახელად, სანდო კაცს არ ჰგავს,
იგრძნობ უმალვე, რომ მორჩილთა გზას განდგომია,
შიში ღვთისა და კაცისადმი მას დაუკარგავს,
კარისკაცია ის უბრალო, მაგრამ აქ ყველა
კარგ მებრძოლთ შორის, ვამჩნევ,
სთვლიან მას უკეთესად.
და კონსტანტინე ბატონიშვილს იმ დღეს პირველად
თურმე დედოფლის ლაშქარიდან იგი ეკვეთა.

ისკანდერ-ბეგი

როს მაგონდება ის დღე, თითქოს სული ეშვება
ღამის წყვდიადში და მევსება გული სიმწარით.
მახსოვს, ჩვენ ორმა დამარცხებულ
სპარსულ დროშებით
და მცირე ლაშქრით სამშობლოსკენ ძლივს გავასწარით.
მაგრამ მწამს, შენი ერთგულება დაგიფასდება,
ამ სასახლეში მეგობრები მხოლოდ ორნი ვართ.

ბეჟან

თუმც განსაცდელი ულმობელი რომ არ ამცდება,
ვგრძნობ, ელჩო, მაგრამ მორჩილების
გზას დავდგომივარ.

ისკანდერ-ბეგი

თუ შეასრულე?..

ბეჟან (სიტყვას შეაწყვეტინებს)

ყოველივე რაც დამავალეთ

და გასანთლული ფარჩის ბუდით ფირმანი თქვენი,
თვით შაჰსევანის ფრთა ორბიან ისრის უმალეს,
იქნება შაჰთან, მრავალ ახალ ამბების მთქმელი.

ისკანდერ-ბეგი

რა გზას ადგია დედოფალი, თუ გესმის რამე?

ბეჟან

ვფიქრობ, ბედს მისას რომ გადასწყვეტს,
ელჩო, ეს ღამე.
შევნიშნე, კარი დარბაზისა ხშირად იღება,
სხედან იქ ჩუმად დიდებულნი და თათბირობენ,
დედოფალი კი ხატის წინა ცრემლად იღვრება.

ისკანდერ-ბეგი

რას შეუთვლიან შაჰს და როგორ პასუხს ფიქრობენ?

ბეჟან

ასე მგონია, და მეც ასე გავიგე თითქოს,
რომ დედოფალი შაჰის წინა წარდგომას ფიქრობს.

ისკანდერ-ბეგი

ვგრძნობ, სასახლეში საქმეს კარგი პირი ვერ უჩანს.

ბეჟან

თუმცა, ჯანდიერი, ჩემს სწორ რჩევას ბევრი ეურჩა,
მაგრამ ვგრძნობ, მასთან საუბარი თუ მექნა ხშირი,
დავიყოლიებ და იქნება ჩვენთან კავშირში.

ისკანდერ-ბეგი

მუდამ სიფრთხილე, თავდაჭერა გქონდეს გზა-ხიდად.

ბეჟან

რომ ეგ არ მახლდეს და მით, ელჩო,
გზას არ ვიკვლევდე,
ჩემი სიცოცხლის აფრას უკვე ქარი დახრიდა
და ნაფოტივით მიმაგდებდნენ ზვირთები კლდეზე.

ისკანდერ-ბეგი

მალე მოგესმის წინწილ-ებანთ ზრიალი, ბეჟან!

ველს, მიტოვებულს, ბრძოლის ქარი შემოეხვევა,
შენს მტრებს პირისპირ შეხვდები და დადგება ჟამი
შენი ნაღველის, შენი მტრობის გადმოსანთხევად.

ბეჟან

ოჰ, გულის ხმა ჰყავ: მითხარ იგი,
სულს რაც მიშფოთებს,
რამაც შემისრნა საწუთრო და სულს რაც მიტყვევებს.
ისევე, როგორც მუხების ქვეშ დაცვენილ ფოთლებს,
ვხედავ დაცვენილს ჩემი გვარის
ბრწყინვალე დღეებს.

ისკანდერ-ბეგი

დამშვიდდი, ბეჟან, მოთმინებას მიაპყარ თვალი,
შენი ამაგი ვუწყით ყველამ, რად იურვები?
როის შევიქნებით გამარჯვების შარბათით მთვრალი,
შენ აქ მბრძანებლის უფლებებით ალიჭურვები.

ბეჟან

ვინ იცის, იგი რას გვიქადის წუთისოფელი
და ან ჩვენ მისგან განსაცდელი რა რიგი გველის?

ისკანდერ-ბეგი (ზანდუკიდან ამოაქვს ქისა, ოქროს ფულით სავსე. გაუწვდის)

ყოველ განსაცდელს და ფათერაკს გზას ეს აუქცევს,
კაცუნებს გმირად და გმირებს კი აქცევს მღილებად,
ეს ბედისწერას, კარზე მომდგარს, თვალებში უქცერს
და თვით სიკვდილის წინაშედაც გაეღიმება.
მიიღე, ბეჟან, მეგობარო, ეს საჩუქარი.
ცეცხლში რვალია, ველზე ქარი, ხმალი ვერ გაჰკვეთს,
ძალა აქვს ყველგან ცის ქვეშეთში მას ჯადოქრული,
მის ყვითელ ღიმილს შეგიძლია უშიშრად გაჰყვე.

ბეჟან

(ქისას გამოართმევს. თავდახრილი დგას)
მადლობას გწირავთ.

ისკანდერ-ბეგი

მე კი ისევ სევდამ შემიპყრო,
წამერთვა ძალა და დაჭრილის განვიცდი ტკივილს.
რა გაათენებს, — ნეტავ ახლა ღამე არ იყოს!
ოი, ის ჭოტი, ჭოტი მაინც, ჭოტი ნუ ჰკივის!

(ჩაფიქრდება)

უკანასკნელად ეს მითხარი, ეს განმიმარტე,
ნუ თუ არ ძალგიძს შენ გუნება კაცს შეუცვალო?

ბეჟან

საიდუმლო და ფარულ საქმის ოსტატად მტრებიც
ყველგან მე მთვლიან და ვერავინ შემეცილება.

ისკანდერ-ბეგი

ამით რა გსურს სთქვა?

ბეჟან

ერთმა აზრმა მსწრაფლ გამიელვა:
იქნებ მალამო რამ დავადვა მე თქვენს იარას.
ახლა დამშვიდდით და ეს ღამე როს მიილევა,
ციცკრის ჟამს მოვალ და განზრახულს გაგიზიარებთ.

(ბეჟანი მიდის)

ისკანდერ-ბეგი

ხელთ მყავს ობობა გონიერი და, ვგონებ, სანდო.
ის სასახლის ყველა კუთხეში ქსელს ქსოვს ფარულად.
ფიქრით მოცული მუნჯ სვეტებთან
ხშირად დგას მარტო.
თითქოს ჩრდილია სასახლეში შემოპარული.
გამოცდილია, ფრთხილი მეტად და იცის, თუ რით
იბრძოლოს იქ, სად ხმალი ვერ სჭრის,
ვერ გასჭრის ენა.
მაგრამ, ო, ხშირად მისი ცქერა მუხანათური
მომეპარება და გველივით დამიწყებს კბენას.
ოქროზე უარს ის არ ამბობს, მაგრამ ვამჩნევ, რომ

არის სხვა ძალა, სხვა მიზეზი, გზას რომ უმრუდებს.
თუ კი ოდესმე ხვაშიადის წინ შევაჩერე,
გავიგებ, ალბათ, ცბიერ თავადს რაც გულში უდევს.

მეორე სურათი

(სასახლის აივანი დარბაზში შესასვლელი ფართო
კარებით. თენდება. კარებთან დგას შალვა)

შალვა

ის წუხელ ღამით სხვებთან ერთად ღამის მთევლებში
იჯდა მოწყენით. ვგრძნობდი, სევდას ეურჩებოდა.
ვით მინანქარი, ჩარჩენოდა დარდი თვალებში
და ღვთაებრივი ყველასაგან განირჩეოდა.
ვჭვრეტდი შორიდან სიჩუმეში ოთახს დედოფლის,
ღამის ნიავი, მთვარის სხივი თუ ნახულობდა.
არ ჰგავდა მაშინ ის ქმნილებას ამა სოფლისა,
როს მოქანცული ვარდის ბაგით წიგნს კითხულობდა.
ეხლაც წინ მიდგას, სახეს ნისას მე თითქოს ვხედავ.
გული რად მტკივა, ან ეს შუბლი რადა მაქვს სველი?
იმედს მაწვდიდა, ვით ბრძოლის დროს
წაქცეულ მხედარს,
მისი ხმა მშვიდი, ციური და ამოთ სასმენი.
შემდეგ კი, ოთახს დედოფლისა როს განერიდნენ,
აქ ჩაიარა, წამით შედგა და მაინც სდუმდა.
გამშორდა უცებ, მე კი მაინც უსიტყვოდ ვიდექ,
პირველად ვიგრძენ სიცოცხლეში—ტირილი მსურდა.
იქნებ ცუდ რამეს მიამბობდენ მისი თვალები?
იქნებ არად მცნობ ოხერ-ტიალს და დამივიწყე?
თუ კი ასეა, მაშინ, ბედო ნუ მემალები,
მოდი, გავსწორდეთ, ხმალდახმალ გიწვევ!
(ხმალს იძრობს. გამოჩნდება ბეჟანი)

ბეჟან

ეი, მანდ, ვინ ხარ?

(უახლოვდება, შალვა შეკრთება)

თუ შენ ბოროტ სულს, ეშმაკეულს შებრძოლებიხარ?

შალვა (მორცხვად დგას)

მე თვით არ ვიცი.

ბეჟან

რად გწყინს, შუბლი რად შეიკარი?

ის, რაც შეგნიშნე, კარგი ყმისა თვისება არის.

ღვთისავარს ვეძებ...

შალვა

მალე მოვა...

ბეჟან

მაგრამ ის ვიდრე

შეგცვლიდეს შენა, ასე უთხარი: ჩემთან მოვიდეს.

(მიდის. შალვა დიდხანს ჩაფიქრებული დგას)

შალვა

მაშინაც, ვგონებ, ეს დღე იყო, ეს კვირაძალი.

მაშინაც იყო ასეთივე დღე გაზაფხულის,

როს ბრუნდებოდა დედოფალი ჯარით, ამალით,

მეც სხვებთან ერთად სიხარულით მიცქემდა გული,

გახარებული დედოფლისა კეთილად მოსვლით

ხალხის ზეიმი ველ-მინდორზე აღარ ცხრებოდა.

ისიც აქ იდგა, ამ ადგილას, თეთრად-მოსილი

და სხვებთან ერთად ბედნიერი იღიმებოდა.

როს ამობრძანდა დედოფალი, მის ფართო თვალებს

ამკობდა ცრემლი სიხარულის, ულამაზესი.

მომცეს ნიშანი და დედოფალს წინ გავუშალე

დროშა შაჰის და მოღალატე კონსტანტინესი.

როცა მიჩნეულს ადგილს ჩემსას კვლავ დავუბრუნდი,

შევნიშნე უცებ, რომ შეეხო მისი ხელი ვარდს,

გამომიწოდა. მოვიხადე ჭსწრაფლ ნაბდის ქუდი
და ძლივს წარმოვსთქვი: „მადლობელი ვარ!“
(ჩამოჯდება. თავს დახრის. უახლოვდება იათამზე.
შენიშნავს, წამოდგება)
თქვენ ასე ადრე ბაღში გასვლას არ ხართ ჩვეული.

იათამზე

იქ არ მივდივარ და აქ დგომაც არ ძალმიძს დიდხანს.

შალვა

სევდიანია დღეს თქვენი ხმა. ცუდს მიგრძნობს გული.
თუ განგიზრახავთ, რომ თვით თქვენ მე
ცუდი რამ მითხრათ?

იათამზე

სასახლეს ღამე და სიჩუმე რომ დაეუფლა,
როცა ჩააქრეს ჩირაღდნები და მიიძინეს,
მამცნო გამზრდელმა, რომ მეც უნდა
გავყვე დედოფალს.

შალვა

მითხარი იგი, რაც სიკვდილზე მეტად მაშინებს.

იათამზე

ვხედავ, მარიდებთ თვალს და ალბათ, მე გულში
მძრახავთ.
ალბათ, ფიქრობთ, რომ ჩემი გულიც იქეთ იჩქარის.

შალვა

ჩემი წახდენა და სიკვდილი ვის განუზრახავს?

იათამზე

თვით ბიძაჩემის, დავით სარდლის სურვილი არის.

შალვა

მე თქვენს თვალებში მწუხარებას და სევდას ვხედავ,
მაგრამ, „დარჩი-თქვა“, მე უღონოს ვერ გამიბედავს,

ცრემლით ჩემი
საფლავის ქვა მონამე!

ისკანდერ-ბეგი

რა გრძნობით მღერი. შენ ციურნი ძალნი გწყალობენ.
შესვი, ძვირფასო, და ბულბულის ხმით იგალობე.

(ღვინით სავსე თასს აწვდის)

რატომ ჩაფიქრდი? ღვინო არც სულს და
არც ხორც ავნებს;
შესვი, შეირგე... მე ეს შენთვის ჩამოვიტანე!

შევქეთ

რჯული გვიკრძალავს...

ისკანდერ-ბეგი

მაგრამ იგი ხომ გვიამება,
ის ხომ ხიბლავდა საადის და ომარ ხაიამს!

შევქეთ

ხოტბას ასხამდნენ, და ეტყოდნენ:
„ქვეყნის ვარდი ხარ!“

ისკანდერ-ბეგი

მაშ, შენაც შესვი,—შენც ხომ იმათ კვალზე დადიხარ.

შევქეთ

იმათი ფეხის მტვერი ვიყო,—მადლობელი ვარ;
მე ერთი ვინმე უსახელო მგალობელი ვარ.

ისკანდერ-ბეგი

ამას ნუ ამბობ, შენი ქება მსმენია ადრე.
დაგიმეგობრდი, უცხოეთშიც ბევრჯერ გინატრე.

შევქეთ

მადლობელი ვარ. შემოგწირავთ მადლობას ისევ.
მიკვირს, შახის ტოლს, მე ყარიბი, ვით შეგეთვისეთ.

ისკანდერ-ბეგი

გჯეროდეს, ჩემი საყვარელი ძმა, სტუმარი ხარ.

მთრთოლვარე ხმითა,
მაშინაც, როცა ბავშვი ვიყავ, დავდევდი ხბორებს,
შემდეგაც, როცა შევდიოდი ბრძოლაში ხმლითა.

იათამზე

ერთხელ დაჭრილი როს იწექი, მიწუხდა გული,
ავად ვიყავი, სარეცლიდან ველარ ვდგებოდი.
მაგრამ მე მაინც ფერმიხდილი ცრემლმორეული
უფალს შენს დახსნას, შენს სიკეთეს ვევედრებოდი.
გამოუცნობმა ფიქრმა, დარდმა ბევრჯერ მაწამეს.
რად იყო ასე, ჩემთვის ახლაც აუხსნელია.
შენთვის სიკეთე, მუდამ კარგი მსურდა, მაგრამ ეს
მხოლოდ ლოცვის დროს უფლისათვის გამიმხელია.

შალვა (შემკრთალი)

მე თქვენს თვალებში არასოდეს არ დამინახავს
ცრემლი. რას ნიშნავს? სთქვი, არ ძალმიძს,
ვხედავ, მოთმენა.

იათამზე

პირველად ვამბობ სიცოცხლეში და ნუ დამძრახავ:
ვით ფიქრი ჩემნი, ესე ცრემლიც გეკუთვნის თქვენა.

შალვა

ბედნიერი ვარ, თუ კი მართლა ეს ცრემლი შენი
ჩემდამი თუნდაც თანაგრძნობას, სიბრალულს ამხელს.
პირველად ვხედავ სიცოცხლეში, თუ როგორ შვენის
ცრემლი ობოლი და უმწიკვლო შენს წმინდა სახეს.
პირველად ვხედავ სიცოცხლეში, რომ იყოს ცრემლი
სიხარულისა, ნუგეშისა, იმედის მგვრელი.
დაე, სიყრმითვე შევეწირო საქმეს საგმიროს,
ოღონდ მაგ ცრემლმა დამიგლოვოს და დამიტირეს.

(გამოჩნდება დავით სარდალი, მოსაუბრეთ
რაკი შენიშნავს, სვეტს მოეფარება)

იათამზე

თითქოს ცუდად ვარ, თითქოს მიმძიმის
აქ დგომა დიდხანს

შალვა

იქნებ მე შევცდი, თქვენ სხვა რამე გწადიათ მითხრათ.

იათამზე

რისი თქმაც მსურდა მოგახსენეთ...

შალვა

იჭვმა შემიპყრო,
იქნებ, ის რაც სთქვით სხვა რამისა ნიშანი იყო.
რა გადასწყვიტე?

იათამზე

აქ დარჩენა და მარტოდ ყოფნა.

შალვა

სხვას არას ვითხოვ, მე ნუგეშად ესეც მეყოფა.

(მათ მოულოდნელად უახლოვდება დავით სარ-
დალი. შეკრთებიან. დავითი მღელვარებას მალავს)

დავითი (შალვას)

გალმა გადახვალ, ჭალიანზე გეჭიროს თვალი.
იქ იმყოფება მეფე ჩვენი მცირე ამალით.
ამცნე მეფეს, რომ დედოფალი მიემგზავრება.
აი ხალხს უკვე ეს ამბავი ამცნო ზარებმა.

(ისმის ზარების რეკვა)

ისწრაფე, მიგაქვს თან ბარათი ეს საგანგებო,
მით თეიმურაზს ამცნობ, მთასთან რომ შეგვეგებოს.

(გადასცემს. შალვა უსიტყვოდ მიდის. იათამზეს
უკვე ბრძანებისა და მწყრალი კილოთი)

შენ იქნებ ფიქრობ, გამგზავრება გვიგვიანდება.
ისწრაფე. მალე დედოფალიც გამობრძანდება.

იათამზე

უწყით, მე მუდამ მრავალ ტანჯვის ვიყავ მომთმენი.



თუ მიძნელდება შეავასრულო სურვილი თქვენი,
გემუდარებით, გულით შეგთხოვთ,
ჩემგან ეს ნუ გწყინთ.

დავითი (მრისხანედ)

თუ რა გადარდებს, ბიძაშენმა ეს უკეთ უწყის.
ნუღარ აყოვნებ, გესმის, როგორ გვიხმობს ზარები?!

იათამზე

მე კი ისევ გთხოვ, მე კი ისევ გემუდარები,
უარს რადა მყოფ, სიქველე ხომ თქვენი ქებულა.

დავითი

სანამ ფიალა მოთმინების არ ავსებულა,
ისწრაფე მეთქი...

(იათამზე იძულებულია დავითის ბრძანებას
დამორჩილდეს, მიდის. გამოჩნდებიან ბეჟან,
შემდეგ ისკანდერ-ბეგი)

ბეჟან

(თვალს გააყოლებს ბაღისაკენ მიმავალ დავითს.
გესლიანად) ხესთან შედგა... ხეს მიეყრდნო....
კვნესა აღმოხდა...

ისკანდერ-ბეგი

რა ამბებია?

ბეჟან

სწორად გვისვრია, ნიშანში მოხვდა.

(ისკანდერ-ბეგი მოულოდნელად მიდის. მიე-
სალმება უკან დაბრუნებულ დავითს)

დავითი (ცივად)

ახალს რას გვეტყვი?

ბეჟან

ძველ ციხის ახლოს, რომ ეტყვიან
ადგილს „თეთრ ლოდებს“,
ნაბრძანებია ერი, ხალხი იქა შეგროვდეს.

განზრახვას თვისას დედოფალი იქ მოახსენებს.
ნაბრძანებია ხატი, დროშაც იქ მიასვენონ.
(ბეჟან მიდის. დავითი მტრულად გააყოლებს თვალს)

დავითი

ბოროტი სული, როგორც წინად, კარგს არ გვიქადის.
თითქოს შიშობსო საწადელი **არ გაუძნელდეს**
აქ სასახლეში უდროო დროს ქურდულად დადის.
ფრთხილად სულბნელო, სიცოცხლე მთლათ
არ დაგიბნელდეს!

(მიდის. რამოდენიმე ხნის შემდეგ გამოჩნდება
ქეთევან დედოფალი მოღლილი, სევდიანი
სახით. არე-მარეს თვალს მიმოავლებს.
აივნის სვეტს მიეყრდნობა)

ქეთევან დედოფალი

ეს რა დილაა, რა წარმტაცი რა მომხიბვლელი!
ნუ თუ კვლავ ამგვარს ვერ ვიხილავ
მე მზის ამოსვლას?
რა წარმტაცია როს ოღვიძებს ალაზნის ველი,
ქვეყანას ჩემსას რა ღვთიური ნათელი მოსავს.
გემშვიდობები, მხარევ ჩემო და თუ კი ვინძლო
კვლავ ვერ გიხილო, მთხოვნელი ვარ
შენგან შენდობის,
სტუმრად მივდივარ თითქოს, მაგრამ მე
გული მიგრძნობს,
რომ სამუდამოდ გეთხოვები, გემშვიდობები.
თუ ბედი ჩემი, ბედი შავი ალარ დაცხრება.
თუ შორს წამიყვანს, თუ სავალ გზას
არ დამიბრკოლებს,
გჯეროდეს, ფიქრებს შენსას, სევდას, შენს მწუხრებას,
როგორც საუნჯეს, ვით ძვირფას თვლებს,
თან გავიყოლებ.
მეფურ პატივით და დიდებით მომექცევიან,

თუ უცხო მხარეს ტყვეობაში ობლად დავრჩები,
ვით წვიმის წვეთნი უცხო მიწას დაეცემიან,
როგორც მრავალი ქართველისა, ცრემლები ჩემი.
გემშვიდობები... რა წარმტაცი თენდება დილა?
ღვთის ხელმა ასე რათ შეგამკო, რათ დაგამშვენა?
თუ კი დავბრუნდი, როგორც ღირსი შვილი, გიხილავ,
თუ კი არა და, მოვკვდები, ვით შეგშვენის შენა.

(გაიღება დარბაზის ფართო კარები. დავითს შემოჰყვებიან გასამგზავრებლად გამოწყობილი ამალა, მღვდელთმთავარი, სარდლები, ისკანდერ-ბეგი, ბეჟან. ქალთა შორის იმთავზეც, დედოფალს თავზე გვირგვინს ადგამენ. ბალში უკვე ხალხის ხმაური ისმის. ზარების რეკვა ძლიერდება, დედოფალი წამოდგება. თვალცრემლიანი ხალხი მიჰყვება. ისმის ხმები: „უფალო, მოგვხედე! ვაი ჩვენო ბედო!“)

ღვთისავარ

მიჰყვება ხალხი დედოფალს კვლავ თვალცრემლიანი.
დამწუხრებულან თვით ბალახნიც, ყვავილნი ველთა.
აქ სიჩუმეა, აღარ მესმის ნაცნობი ხმანი,
ასე მგონია, ქვეყანა მთლად დაცარიელდა!

(მოდის მახარა)

მახარა (დაღვრემილი ჩამოჯდება)

ხალხი კვლავ ხვდება დედოფალს და გზას უღობავენ,
ეტყობა მალე ურჩობასაც გაუბედავენ.

ღვთისავარ

ამაო ცდაა. ალბათ ღმერთმა ასე ინება
და დედოფალსაც განზრახვას ვერ შევაცვლევინებთ.

(ჩაფიქრდება)

გულს კი არ ვიტეხ, მათ ბედნიერს
კვლავაც შევხვდებით.

მახარა

ღმერთო მაღალო, ნუ გაგვწირავ, გადმოგვხედევი!

(მიდის)

ხვთისავარ (აკვირდება)

ის არის... რა რიგ შვენის ჯუბა, გმირსა მაგონებს.
ნეტავ ვიცოდე, საით უხმობს, ბედს საით მიჰყავს?

(ჩაფიქრების შემდეგ)

უმჯობესია ის ვუამბო, რაც ჩამაგონეს.
ღმერთო მაღალო, შენ ხომ უწყი, ის გულით მიყვარს!

(შალვას მიეგებება)

აღარ გამოჩნდი, გალავანთან გელოდე დიდხანს.

შალვა (აღელვებული)

მითხარ ღვთისავარ, ყველაფერი, ღვთისავარ, მითხარ.
ყველა წასულა?

ღვთისავარ

ყველა, მათში ის ერთიც მიდის,
რომელსაც მუდამ, ვიცი, სათნო ქალადა სთვლიდი.
თუმცა წასვლის დროს მიხმო, ჩემთან
ცრემლებიც ღვარა,
მაგრამ გულს მიკლავს ის, რაც მითხრა და დაგიბარა.

შალვა (ძლივს წარმოსთქვამს)

რა დაიბარა?

ღვთისავარ

გამხნევდი, შენს ბედს არ გაუწყრეო.
მე შორს მივდივარ, სამუდამოდ დამივიწყეო.

შალვა

რადაო, რადა? ან თვით რად არ გამომეთხოვა?

ღვთისავარ

ნამდვილად ვიცი, იმ უსჯულოს მიათხოვებენ.
გულით გთხოვ, შენ გულს მოარიდო ტანჯვა და ურვა,
რადგანაც, ვიცი, იმ ასულმა ეს თვით ისურვა.

შალვა

ეს მან ისურვა? ღმერთო ჩემო, ღმერთო, რა მომდის?
მცოდნოდა მაინც, ყველაფერი ეს ჩემთვის ეთქვა.
მე კი მსურდა, რომ მათ კვალდაკვალ დავდევნებოდი,
ახლა კი რა ვქნა, ღმერთო ჩემო, ძალა წამერთვა!

(დაემხობა, კვნესა აღმოხდება)

მეოთხე მოქმედება

მესამე სურათი

(ირანის ჯარების სარდლის ისკანდერ-ბეგის სასახლის მდიდრულად მორთული ოთახი შირაზში. ისკანდერ-ბეგი და მომღერალი შევქეთ ღვინოს შეექცევიან, თენდება)

ისკანდერ-ბეგი

გათენებულა... ჩემი ქვეყნის სიომ მოჰბერა.
ნულარ აყოვნებ, მეგობარო, შენი სიმღერა!

შევქეთ (საკრავს მომართავს. ამღერებს)

თუ გულით გსურს, —
ერთხელ არ გავიცინებ;
თუ გულით გსურს, —
სულ ეკლებში ვიძინებ.
მოქანცული ვიყო, —
აღმართს ავყვები,
ისე ვივლი, —
აღარ დაგენახვები.
წვიმა იყოს, —
ხის ქვეშ არ შევისვენებ.
ავათ გავხდე, —
მე კარგათ მოგიხსენებ,
მხოლოდ, როცა
მოვკვდე, შენი მონა მე, —

თქვენ კი, თქვენს სტუმარს, —
ვით პატიმარს ისე მეპყრობით.

შვიდეთ

როგორც ვამჩნევთ, რისხვა ღვთისა გარდუვალია.
საფრთხის წინაშე დგეხართ,—გამცნოთ ჩვენი ვალია.

ქეთევანი

მოვიდეს იგი, მწარე ბედს არ შევუშინდები,
გჯეროდეთ, რომ მას ვეგებები მე დამშვიდებით.

იმამყული-ხანი

მტკიცეა თქვენი სიტყვა, ჩვენთვის შიშისა მგვრელი.
დაფიქრდით, გეტყვით, რომ წამებით
სიკვდილი გელით.

ქეთევანი

სულს ვეღარ მოჰკლავთ, იგი მარად შემოხვეული
ნათელი რწმენით, იფრენს ჩემი ქვეყნის ტყე-ველზე!
სულს ვეღარ მოჰკლავთ, ხოლო, ესე ჩემი სხეული, —
მე დამიდვია ჩემი ერის საკურთხეველზე.

მეხუთე სურათი

(დავით გარესჯის მეუდაბნოეთა ეკლესიის მიდამო. ალდგომა ღამე. ეკლესიიდან ისმის გალობა. ეკლესიის შესავალ კარებთან დგას შალვა. ემჩნევა, რომ ბერათ აღკვეცილა. დრო და დრო გამოჩნდებიან ეკლესიისაკენ მიმავალი ბერები)

ექვთიმე ბერი (მოხუცს სიარული უძნელდება)

თუ მოვალწევდი, არ მეგონა ერთგულო ძმაო.
უსუსური ვარ,როგორც ჩრდილი ისე ვმოძრაობ,
ჩემზე იტყვიან ძმანნი: უფლის ხელსა დაყავსო.

მეორე ბერი

კვლავაც გატარებს იგი დიდხანს, ჩემო მოყვასო.

ექვთიმე ბერი

თუ შევიძლებდი არ მეგონა, ვერ დაგიმალავ.

შესვი, დასცალე, ჩემი სულის მგობარი ხარ.
(ღვინოს კვლავ აწვდის)

შევქეთ (თასს დაცქერის)
როგორ მოთავსდა აქ ამდენი ეშხი, სინაზე?!
მადლი მას, ვინაც უკვდავების წვეთებს გვიგზავნის.

ისკანდერ-ბეგი
ერთი პატარა მდინარეა მთელს ქვეყანაზე,
ის მე ვიხილე, ეწოდება მას ალაზანი!
აი, ეს ღვინოც მე იქიდან მომიტანია...
სთქვი სიმღერები, შეაგებე ამ დილის ნიავს.

შევქეთ (ამღერებს)
როგორც ვარდმა, —
თუ ბაღში მიიძინო;
ნუ მიკრძალავ, —
იქვე წყაროთ ვიდინო.
ავად იყო, —
ჩრდილი გადგეს სიავის,
ნუ მიკრძალავ, —
ვიყო შენი ნიავი.
შენს მსახურათ,
თუ კი ვერ მოვიცალე, —
გჯეროდეს, რომ
არ ვარ, გარდავიცვალე!

(შენიშნავს, რომ ისკანდერ-ბეგს ღამის თევამ
და ღვინომ სძლია. განაბულა)

ძილმა სძლია, თუ ფიქრს ეძლევა ბატონი ჩემი?
(წამოდგება. წასვლას აპირებს)

ვგონებ წასვლა სჯობს, ალბათ, უკვე ველარ დავრჩები.

(გადის. რამოდენიმე ხმის შემდეგ შემოდის იათა-
მზე ოდნავ შემკრთალი. კარებთან შედგება)

ისკანდერ-ბეგი

(თავს წამოწევს, თითქოს მისი მოსვლა
იგრძნო, გაოცებული შეჰყურებს)

რას მივაწერო, ცისკრის მსგავსი ეს გამოჩენა?
ეს სიმართლეა? ეს თქვენა ხართ? თუ მომეჩვენა?!

(წამოდგება. დუმილის შემდეგ)

ჩემთან ბრძანდებით? იქნებ ჩემთან შეხვედრა გნებავთ.

იათამზე (გაუბედავათ)

დიახ, სარდალო!

ისკანდერ-ბეგი

კეთილ იყოს ეს მობრძანება.

იათამზე

მე თვით არ ვიცი, ვით გავბედე,
იქნებ თავს ვავნე.
გთხოვთ, რომ იცოდეთ: არ მჩვევია ეგ სითამამე.

ისკანდერ-ბეგი

ამგვარი იჭვი ჩემში ახლაც აღარ აღძრულა.
მაგრამ ვიცოდე, ჩემთან მოსვლა რამ გაიძულათ?

იათამზე

როგორ გამოვსთქვა... დავიბენი, გული ვერ ხვდება,
მას, რაც ადარდებს ჩემიანებს, მას აქ რაც ხდება.

ისკანდერ-ბეგი

რა უნდა მოხდეს?

იათამზე

აქ რათ მოველ მაღალო ღმერთო?
მახსოვს, მითხარით თქვენ მრავალჯერ,—
მე მომმართეთო.
პირველათ მოველ...

ისკანდერ-ბეგი

მე ეგ სიტყვა იმედს მასხურებს.
მეც ხომ მზათა ვარ. თქვენ მიბრძანეთ და მიმსახურეთ.

იათამზე

იქნებ გამკიცხონ ამისათვის, მაგრამ გთხოვთ მითხრათ:
სტუმრობას ჩვენსას ბოლო აქვს თუ,
დავრჩებით დიდხანს?

ისკანდერ-ბეგი

ამას რად მკითხავთ?

იათამზე

ის მადარდებს.

ისკანდერ-ბეგი

სამწუხაროა,
რომ თქვენ აქ ყოფნა არ გიზიდავთ, არ გიხარიათ,
არ მოგეწონდი. რათ მითხარით. მე ნუ თუ ვცდები?
თქვენთვის სიკარგე მსურდა მუდამ, კვლავაც ვეცდები.
(დუმილი ჩამოვარდება)
ჩემი ბაღები, შადრევნები თუ ინახულეთ?

იათამზე

გუშინ ვეწვიეთ.

ისკანდერ-ბეგი

ოქროს ვაშლის ხესაც ნახავდით.

იათამზე

ისიც შევნიშნე...

ისკანდერ-ბეგი

იქ ზამთარშიც დგას გაზაფხული,
ფრინველთ გალობას იმა ბაღში ხომ ტყვეთა ყავდით?

იათამზე

დიახ, ვუსმენდი...

ისკანდერ-ბეგი

ქვის სასახლე შევამკე მე თვით.
იქ, თეთრ შადრევანს ვარდის წყალი ბევრჯერ დენია.

იათამზე

მე თვით ვიხილე, როგორ სჩქეფდა.

ისკანდერ-ბეგი
და შემდეგ რა სთქვით?

იათამზე
ეგ ყველაფერი, ჩემთვის ფუჭი, მოსაწყენია.

ისკანდერ-ბეგი
ჩვენს მხარეს, ვგრძნობ, ჯერ თქვენი
სული არ შეჩვევია...

იათამზე
რა ვქნა, — თქვენს ბაღებს ჩემი ქვეყნის
ტყე მირჩევნია.

ისკანდერ-ბეგი (უსაზღვრო წყენა შეემჩნევა)
მე კი მეგონა სიხარულის ყვავილებს ჰკრეფდით.
თავს ბედნიერად იგრძნობდით და გაიხარებდით.
სამწუხაროა. არ ველოდი, მაგრამ ის უფრო
მაფიქრებს, რომ თქვენ უდედოფლოდ
წასვლა ისურვოთ.

იათამზე (შემკრთალი)
რათ ვისურვებდი?

ისკანდერ-ბეგი (ცივად)
თხოვნა შახთან ბევრჯერ აღვძარით.
მაგრამ აქ რჩება დედოფალი, ბრძანება არის.

იათამზე
ო, ეს რა მაცდის! დედოფალს აქ რატომ სტოვებენ?
(იათამზე შემკრთალი, სასოწარკვეთილების გამომხატველი სახით მიდის. თითქოს მიწიდან ამოძვრაო, შეუმჩნევლათ გაჩნდება ჯავაირა)

ისკანდერ-ბეგი
როს შორს მგონიხარ, არ მახსოვხარ და არ მოველი,
მაშინ მოძვრები შენ ისე, ვით ხვრელიდან გველი.

ჯავაირა
ახლა გველათ მთვლი? წინათ იყავ სხვაგვარ აზრისა,

ხომ გახსოვს, ერთ დროს მიწოდებდი
„ვარდს შირაზისა!“

ისკანდერ-ბეგი

ბევრჯერ მსმენია... სულს მიწუხებს ეს საყვედური.
სთქვი, რის თქმაცა გსურს.

ჯავაირა

არაფრისა, — ვარ უბედური.
(წასვლა უძნელდება)
ჩვენი ტრფიალის ოქროს თასი, რათ დაიცალა?
ნეტავ ვიცოდე, ჩემზე გული ვინ შეგიცვალა?
(საალერსოთ მიიწევს. ისკანდერ-ბეგი იშორებს)

ისკანდერ-ბეგი

მარტო მსურს ყოფნა!

ჯავაირა

ნუ თუ უკვე სიტყვაც არ მეთქმის?!

ისკანდერ-ბეგი

მარტოთ მსურს ყოფნა, ნურას მკითხავ,
დამტოვე მეთქი.

ჯავაირა

ხელსა მკრავ. ჩემი სიყვარული კი უცვლელია.
საით წავიდე? ეს ქვეყანა ასე ვრცელია!

მეოთხე სურათი

(ქეთევან დედოფლის სახლი შირაზში. შუა დღე)

ქეთევან დედოფალი (სარკმლიდან შენიშნავს
მისკენ მომავალთ)
აქეთ მოდიან მოციქულნი, სიმხნევე მმართებს,
ნუთუ საუბარს, დღესაც იმგვარს გამიმართავენ?!
(ფიქრებს ეძლევა)
მუდამ ტყვეთ ყავდა ამ გესლიან და მწარე იჭვებს
ცხოვრება ჩემი, ესოდენი ტანჯვითა მძიმე.

სიმხნევე სულის, შენ შთამბერე, შენ მომანიჭე
ძალაო ღვთისავ, უხილავათ რომ დაგვიმცემებ.

(შემოდიან შირაზის ბეგლარ-ბეგი იმამყული-ხანი
და მოლა. ესალმებიან)

იმამყული-ხანი

ნება გვიბოძეთ დედოფალო, კვლავ გიახელით,
ჩვენ ორი მონა, ალაჰის და შაჰის სახელით.

ქეთევანი

მოგესალმებით, დიდებულნო, მეც მონა ღვთისა.

იმამყული-ხანი

გვჯერა, რომ თქვენს გულს დაეპყრა ისე, ვით ცკარი
კეთილი ზრახვა და სურვილი შაჰინ-შაჰისა.

ქეთევანი

მე მოგახსენეთ. ჩემი სიტყვა კი,—მტკიცე არის!

მოლა

რჯულის შეცვლა, ეს ღვთის ნებაა. ამაში გვენდეთ.

ქეთევანი

ეს სულმდაბალთა თვისებაა და თუ გავბედე
იჭვის მიტანა თქვენს ნათქვამში, გთხოვთ მომიტევოთ.

მოლა

ვთქვათ ეს წერაა ულმობელი, რას გვეტყვით მაშინ?

ქეთევანი

თუმცა ქალი ვარ, მაგრამ გეტყვით: არ ვარ უმწეო,
რა რიგ მკაცრი არ იყოს წერა,—ვერ შემაშინებს.

მოლა

მოსაწონია თქვენი სიტყვა, ის კაცს მადლს მოჰფენს,
მაგრამ შედეგი დაგვამწუხრებს კეთილის მყოფელთ.

ქეთევანი

მოსაწონია თქვენი სიტყვა, ბრძენო მოხუცო.

იმამყული-ხანი

უწყით, იცვლიან რჯულს მრავალნი მეფეთა გვარის.

ქეთევანი (წყენით)

უზნეო საქმე ყოველივე, ჩემთვის არს უცხო,
დედოფალი ვარ, არა მონა,—თქვენს წინა მდგარი.

იმამყული-ხანი

ჩვენაც თაყვანს გცემთ. დიდმა შაჰმა აქ გამოგვგზავნა,
რადგან გამშვენებთ სიტყვა, საქმე მუდამ მართალი.

შევქეთ

ქვეყნის მპყრობელმან შაჰმა თქვენი სიკეთე ბრძანა
და გადმოგხედათ თქვენ ღირსეულს
წყალობის თვალით.

ქეთევანი

ამგვარ წყალობას, დიდი ხნიდან ვარ შეჩვეული.

იმამყული-ხანი

გაუგებარი არის ზოგჯერ სიტყვა რჩეულთა.

ქეთევანი

ამ წყალობისგან მხოლოდ ტანჯვა, ცრემლი მიგრძვნია.

იმამყული-ხანი

ნათქვამმა თქვენმა ჩვენც შეგვაკრთო,
ჩვენაც დაგვძლია
და გთხოვთ გვიამბოთ ყოველივე, ჩვენაც გაგვანდეთ.

ქეთევანი

თქვენმა მოგზავნილ კაცმა მოჰკლა ის ალექსანდრე
მეფე მოხუცი, ვისაც ხალხი თაყვანსა სცემდა;
თვით თეიმურაზს, მეფეს ჭაბუკს აღარ ასვენებთ;
აქ, ქართველობა გაგიხდიათ მონებათ, ყმებათ;
ხოლო წამებას შვილიშვილთა ვერ გავიხსენებ *)
აქ მაინც მოველ სათნო ფიქრით და არა მტრობით.

---

*) შაჰ-აბაზის მიერ გამოგზავნილმა კონსტანტინე ბატონიშვილმა მოჰკლა მეფე ალექსანდრე (მამამთილი ქეთევან დედოფლისა), ხოლო ქეთევან დედოფლის ორი შვილიშვილი ალექსანდრე და ლევანი ჯერ დაასაჭურისეს და შემდეგ წამებით დაიხოცნენ (ლევანი ჭკუიდან შეირყა) ირანში.

ბეჟანი

შეიპყარით! (დაედევნებიან)

მესამე მოქმედება

მეექვსე სურათი

(იათამზის ოთახი სასახლეში, შირაზში. ემჩნევათ, რომ იათამზე და ღვთისავარი დიდი ხანია საუბრობენ)

იათამზე

ოი, ღვთისავარ! მე უბედურს ეს რა მითხარი?!
სიცოცხლე ჩემი, სამუდამოთ რათ შემაძულე?

ღვთისავარ

ვწუხვარ, სამარე სადმე მეც რათ არ გამეთხარა;
ბებერ მგელივით ქვეყანაზე რათ დავძუნძულებ?

იათამზე

როგორ მოვიქცე უბედურმა?—
ფიქრს თავს ვერ ვართმევ.

ღვთისავარ

მოხუცის სულიც, მწუხარებით, დარდით აივსო.

იათამზე

რა გიპასუხა, ყოველივე როს განუმარტე?

ღვთისავარ

მხოლოდ ეს მითხრა უბედურმა, გვიან არისო!

იათამზე

განაგრძე!

ღვთისავარ

რა ვსთქვა? მე, სათქმელი, თუმცა ბევრი მაქვს:
გულცივათ იყო, გზა განვაგრძე, არ გამაცილა;
იმავე ღამეს, მონასტერი დაურბევიათ;
არ მოუცვლიათ ბერებს ფეხი და დახოცილან.
მე, ტყვეთ შემიპყრეს იმავ ღამეს. გათენდა შავი
აღდგომა ჩემთვის და მას შემდეგ მიტირის გული.
მან, ქვეყნის საქმეს, ვაჟკაცურათ შესწირა თავი.
მე კი... რაღა ვარ, ცოდვილი და დამარცხებული?

მეორე ბერი

უფლის აღდგომის ღამეს, ყველას გვემატვის ძალა!

ექვთიმე ბერი

ჭეშმარიტად, რომ ყოვლის შემძლე არს მოთმინება:
ვით მთის ნიავი,—იმედი, გულს კვლავ მეფინება.
თავს უკეთა ვგრძნობ...

მეორე ბერი

ხომ ყოფილა ჭმუნვა ამაო?
აი ამ ქვაზე ფეხი შედგი, წმინდა მამაო!
უფლის აღდგომა, დაგვიმკვიდრებს
კვლავ კეთილ ამინდს,
კვლავ სათნოება დამკვიდრდება...

ექვთიმე ბერი (პირჯვარს გადაისახავს) უფალო, ამინ!

მეორე ბერი (შენიშნავს სვეტს მიყრდნობილ და ლოცვათ დამდგარ შალვას)

აი, ის არის, მის შესახებ წუხელ ხომ ვსთქვი მე.
გულით მებრალვის, მომწონს მეთქი,—მამავ ექვთიმე!

ექვთიმე ბერი

თურმე განთქმული გმირი იყო, ტანს რკინა ეცვა!

მეორე ბერი

არავინ უწყის, შემდეგ ბერათ რად აღიკვეცა.
მხოლოთ ეს მითხრეს მაზე, ძმებმა,—მამავ ექვთიმე,
რომ ლოცვის შემდეგ, ტყეში მიდის, ჩუმათ ქვითინებს.

ექვთიმე ბერი

ალბათ დიდ ცოდვას ჩაიდენდა ყმაწვილი ერთდროს.
მისატევებლათ ცოდვებისა, ღმერთს შევევედროთ.
(მიუახლოვდებიან ეკლესიას, შედიან)

მესამე ბერი (ცას აკვირდება)

ვამჩნევ, ცისკარმა აღარ უნდა დაიგვიანოს,
მალე აღდგომას მოგილოცავ, მამავ დიანოს!
(ეკლესიაში შევლენ)

ელიოზ ბერი (შენიშნავს უკან მომავალ ბერს)
გწყალობდეს ღმერთი... კვლავ სალამი გაგიმეორე!
(სანთლებს გაუწვდის)
წმინდა სანთლები მომიძღვნია, მამავ თევდორე.

თევდორე ბერი

მადლობას გწირავთ. აწ ჩვენ ყოველ სიკეთეს ველით.
რა რიგ საამოთ მოჰფენია ველს საკმეველი!
თქვენთვინაცა მაქვს, ეგონებ უკვე გამომელიოს.
(მძივს გაუწვდის)
ეს საჩუქარი, გთხოვთ მიიღოთ, ძმაო ელიოზ!

ბერი ელიოზ

მადლობას გიძღვნით. კარგი არის, ეს დიდათ მარგებს.
კრიალოსანი ჩემი გუშინ ტყეში დავკარგე.
(პირჯვარის წერით შედიან ეკლესიაში.
ეკლესიისაკენ სვლა შეწყდება)

შალვა

სული და გული ჩემი, ბრძოლის ქარ-ცეცხლს
არ მთხოვენ.
მთელი აზრებით მივნდობივარ მე, ყოვლის შემძლეს;
გულმართალ ბრძოლებს, სიყმაწვილეს გამოვეთხოვე,
შევფარებივარ, ვით მორჩილი, მონასტრის კედლებს.
რაც გულით მწამდა, ვერასოდეს ვერ ვინახულებ:
ბრძოლების ადგილთ,—დაუვიწყარ ლამაზ ტყე-ველებს;
განდგომილი ვარ, მონასტერში მშვიდათ ვმარხულობ.
იქნებ... შეგცოდე შენ, უფალო და მიმიტევე.
(პირჯვარს გადაისახავს)
ცისკრის ჟამია, თუ მწუხრია ველს დაფენილი,
როს ყოველივე მავიწყდება და ლოცვად ვდგები,—
შენ, უცხო მხარეს განცხრომისთვის გადაფრენილი,
მე, მონასტერში დაყუდებულს, რათ მაგონდები?!
თუ კი ამგვარათ ფუჭი იყო შენი მშვენება,



რათ მომავლინე მე ამგვარი ტანჯვა და რისხვა?!
ვინ იცის, ახლა, სად ეძლევი განხცრომას, შვებას?! —
რომ გიგონებდე მონასტერში, შენ არა ღირს ხარ!

(გამოჩნდება ღვთისავარ. სიარულშიაც ემჩნევა წმინდა ადგილისადმი პატივისცემა. ეკლესიის წინ შესდგება. პირჯვარს გადაისახავს. ბერს აკვირდება)

შალვა (იცნობს. აღტაცებით)
ღვთისავარ, ჩემო საყვარელო!

ღვთისავარ (მოეხვევა)
ეს, შენ ხარ შალვა?!
გზათ მივდიოდი, მაგრამ გულმა არ მოიშალა,
აქეთ მომწევდა, თითქოს გრძნობდა,
რომ შეგხვდებოდი.

შალვა
წირვის ჟამი დგას, თორემ სადმე ჩამოვსხდებოდით!

ღვთისავარ
როგორ შეცვლილხარ ძმაო ჩემო, მე, ძლივსღა გიცან!
სად არ ვიყავი, დაგეძებდი ჩემს ღმერთსა ვფიცავ.

შალვა
ასეთი არის ხვედრი ჩემი...

ღვთისავარ
არა, არ მჯერა,
რომ დაგიგდია ყოველივე,—შემდგარხარ ბერათ!
ვაჟკაცობა ხალხს, შენი, ჯერ არ დავიწყებია:
შენი ბრძოლების ამბავს, ახლაც ხშირათ ყვებიან.

შალვა
მე კი დავშორდი. სამუდამოთ სული მიცხრება;
ჩრდილს და მონასტერს,—შეეფარა ჩემი ცხოვრება!

ღვთისავარ
ერთ დროს იყავი, ძმაო, ბასრი ხმლისა პატრონი,
კვლავ მოგელიან, ჯარს აგროვებს მეფე ბატონი.

შალვა

მახარებს შენი დაუმცხრალი სწრაფვა გულწრფელი,
მაგრამ რას ვიზამ,—დამიგდია წუთისოფელი!

ღვთისავარ

თავს ვიწონებდი შენით მუდამ და ვამაყობდი,
არ მოველოდი, რომ შენ ამგვარ პასუხს მეტყოდი!
იქ მიმელიან. დროზე მივალ, ასე იციან.

შალვა

კეთილად ვლიდე, გზა სავალი დამილოცნია!

ღვთისავარ (ყოყმანის შემდეგ)

რა კი ასეა, მსურს იცოდე, რომ შენს წინაშე
ცოდვა მიმიძღვის, უნებლიეთ ვარ დამნაშავე.
ასული იგი შენზე სწუხდა, შენზე ბნდებოდა,
შენი ღვთისავარ სულ სხვა ამბავს გეუბნებოდა.
ფუჭად მიმაჩნდა თქვენი ტრფობა, მსურდა სიკეთე;
ნაცვლათ ამისა, სულში შხამი რათ ჩაგიწვეთე?
ამგვარი ტრფობა, ვიცი ხომ კაცს სჩაგრავს, გარიყავს.
ვაჟკაცი იყავ,—არ მინდოდა დაჩაგრულიყავ.

შალვა

მივხვდი, რომ შესთხზე ის ამბავი, თანაც ცდებოდი.
ნუღარ იჯავრებ, მე ეს ბედი არ ამცდებოდა.

ღვთისავარ

მაშ, თავს დასძლიე! მითხარ,
გული რათა გაქვს მკვდარი?

შალვა

ნუ გინდა ძმაო,—ყოველივე, აწ გვიან არის.

ღვთისავარ

უკანასკნელათ, მინდა ძმაო, ისიც იცოდე,
სხვამ შემაცდინა; მე, ბეჟანის რჩევით შევცოდე.

შალვა

ამასაც ვგრძნობდი. ეს კი, მზარავს და წყრომას იწვევს,

მაგრამ, ნუ გინდა, ყველაფერი გადაივიწყე.

ღვთისავარ

ნაშ აქ დარჩები სამუდამოთ, იმედს არ მაძლევ...

შალვა

ასე სჩანს, ძმაო...

ღვთისავარ

მე კი, უხმლოდ, ქვეყნად ვერ გავძლებ;
უნდა ვიბრძოლო, სანამ მთლად არ დავიხარჯები.
მშვიდობით, ძმაო!

შალვა

გზა მშვიდობის! გზა გამარჯვების!

(დუმილის შემდეგ)

არ მშორდებიან, მე ყოველთვის, სიზმრად თუ ცხადად.
მელანდებიან, მუდამ, შენი თვალნი მწყრალები:
უცხო მხრისაკენ გახიზნულსა, თუ კი გკიცხავდი,
ახლა რათ შფოთავს სული ჩემი, რათ მებრალები?!

(იწყება ზარების რეკვა. მლოცველნი, ანთებული სანთლებითა და გალობით აპირებენ ლიტანიის დაწყებას. საზეიმო განწყობილება მოულოდნელათ შეიცვლება. შეშფოთება მატულობს. გალობა თანდათან ცხრება. ღამის სიბნელეში ანთებულ კელაპტრებს შორის, ბერების მრავალმეტყველი სახეები ელავს. გაისმის ხმა):

რისხვა ღვთისა, ძმებო, მტრები შემოგვესია!

მეორე ხმა გალობით, ლოცვით მოვეხვიოთ
გარს ეკლესიას!

(მოახლოებული მტრის ხმაური მატულობს. თავგანწირულების გამომხატველი გალობა და ღაღადისი ძლიერდება)

ექვთიმე ბერი (ანთებული სანთლებით უკან ბრუნდება. თითქოს მიფრინავსო)

აჰა, დაესხა საქართველოს ვერაგი მტერი!

გამხნევდით ძმებო! მოგიწოდებს ექვთიმე ბერი!
(ის სუსტი, მაგრამ თავგანწირული ხმით წამოიწყებს
სიმღერას: „შენ ხარ ვენახი!“ ბერები შეუდრეკელნი
დგანან, უკვე შემოჭრილი მტრის წინაშე; მღერიან
ძლიერი ხმითა და იხოცებიან)

ექვთიმე ბერი

დაე, ეს მრევლი, გაუტეხელ კლდეს დაეგვანოს!
(შენიშნავს მოხუც ბერს, რომელიც დაჭრილი დაეცა,
სანთელი გაუვარდება, ჩაქრება. ექვთიმე წამოაყენებს.
სანთელს აუნთებს, გადასცემს) აჰა, სანთელი სიმართ-
ლისა, ბერო დიანოს. (აქ-იქ ცეცხლის ალი ავარდე-
ბა, დიანოს წამოდგება. სხვებთან ერთად სიმღერას
განაგრძობს)

დიანოს

ო, მადლი თქვენა! მტერი ჩვენს სულს
ველარ გასთელავს!
გიზგიზებს ცეცხლი, საქართველოს განსანათებლად!
(მტრის მახვილით განგმირული ეცემიან. ზარების რე-
კა ცხრება. სანთლები მხოლოდ აქა-იქ ბჟუტავს. მტრის
მოლაშქრენი შენიშნავენ მარტო მდგარ ბერს, რომე-
ლიც მათ წინაშე შეუდრეკლათ აიმართება)

ბერი

მე სიკეთე ვარ, სათნოება—თქვენს წინა მდგარი!
არ მაკრთობს ხმალი ბოროტისა, მოდით დამკარით.
(განგმირული დაეცემა. მტრის თარეში წყდება. უკა-
ნასკნელი სანთელი ქრება. თენდება. გამოჩნდება ირა-
ნელი მხედარმთავრის ტანისამოსში გამოწყობილი ბე-
ჟანი ჩაფიქრებული მოდის)

ბეჟანი

ამ, ბოროტ ზრახვებს, ბოროტ საქმეს სანამ მოვსდიე!
აწ, გვიან არის. მე, ცოდვები მიმიძღვის დიდი.

ფარულათ ვიწერ პირჯვარს. ღმერთო, შენ მაპატიე;
საქმეს ბოროტსა, მე ოდესმე გამოვისყიდი.
შალვა (თავს წამოწევს. გონს ვერ მოდის)
ცოდვით აღსავსე და მრისხანე, თენდება დილა.
თვალი, ამ სურათს, ამ ჯოჯოხეთს როგორ ეჩვევა?!
ეს ყოველივე, რაც ვიხილე, სინამდვილეა
თუ, ის, უფალო სიზმარია და მოჩვენება?!
ასეთი ბედი, შენს ტანჯულ მრევლს რატომ არგუნე!
ალდგომას შენსას, შენს ტაძარში.
როდის ვხვდებოდით...
ასეთი ტანჯვით? და იგი რათ მოგვივლინე?!
ჩვენ ხომ სიყვარულს, სათნოებას გევედრებოდით?!
თავში დავჭრილვარ. მაგრამ მაინც,
ჩემს მოძმეთ შორის
რათ ვარ ცოცხალი?—სიცოცხლისაგან
კვლავ არას ველი.
ღმერთო მაღალო, ცოდვილ მიწას მეც მომაშორე,
მეც დამიმკვიდრე შენს წიაღში სასუფეველი.
(შენიშნავს ბეჟანს)
ნუ თუ ის არის? წამოვდექი. —
ვგრძნობ სიკვდილს ვსძლიე.
მწარე სიცოცხლე ჩემი, ვგონებ ისევ იწყება.
მოძმენო ჩემნო, განგმირულნო,—თქვენ მაპატიეთ,
ბე მონაზონის წმინდა ფიცი თუ მავიწყდება.
(ბეჟანს)
მიცანი ვინ ვარ? არაკაცო, ბოროტო სულო!
შენი საქმენი, ერთხელ მაინც შეგეცნო, გეგრძნო.
ამ წმინდა ადგილს, უწმინდური გულით მოსული,—
კვლავ აღარ შემხვდე, მომერიდე ეშმაკის კერძო!
(ბეჟანს გარს შემოეხვევიან ირანელი მხედრები.
შალვა გაიჭრება)

დავითი

ნუთუ, ბედმა ასე გაგვწირა?
ასე დამამხო სიბერეში და დამამცირა?

ქეთევან დედოფალი

იქ ვინ არიან? შევნიშნე, თუ მომლანდებია?!

დავითი

ჩვენი ხალხია. დედოფალო, გველოდებიან!
ჩვენი ხსნა, თქვენთან ყოფნა იყო მათი მიზანი.
ახლა რა ვუთხრა, როგორ შევხვდე,
რა პირით მგზავნით?

ქეთევან დედოფალი

მე თვით შევხვდები!

(მთვარის შუქზე გზას მიიკვლევს. დავითი მიყვება. მიეგებებიან საქართველოდან მოსულნი კაცნი. მათ შორის შალვა)

მერვე სურათი

(ისკანდერ-ბეგის სასახლის სადარბაზო ოთახი. იათამზე თავჩაქინდრული ზის)

შევქეთ (შემოდის. იათამზეს შეუმჩნევლათ უახლოვდება: იათამზე შენიშნავს, შეკრთება)

თქვენ აქ ბრძანდებით?! თავს დაგადგათ
ჩემი ჩრდილი ვარდს!
დღეს ქორწილია, მაგრამ რა ვქნა, მოწყენილი ვარ.
ვემზადებოდი ამ დღისათვის. დღეს კი, არ მინდა
ედემშიც ყოფნა. თავს ობლათ ვგრძნობ,
გული მომიკვდა!

იათამზე

რატომ ბატონო?

შევქეთ

ვინ გამიგებს, ვინ მიმიხვდება!
ჩემს გულს ხშირათ და სულ ადვილათ ეკალი ხვდება,
უცხაურ კაცად მთვლიან... მეც ამ ამბავსა ვყვები:

გულით მიყვარდა. მისთვის მუდამ სიკეთე მსურდა?
მაგრამ, ცდა, ჩემებრ უბედურის, ასე დასრულდა.

იათამზე

მესამე დღეა,—გლოვის გარდა, მე, არა მინდა...

ღვთისავარ

უტირის გული, შენთან ერთად შენს ღვთისავარსაც!

იათამზე

რა გზას დავადგე? ვინ გამიგებს? ვინღა შემინდობს?!
შუა-ზღვაში ვარ, მე, ცარიელ ნავისა მსგავსათ.
არ ვიცი, საით მივაშურო; სადღა ვეძიო
სიმშვიდე სულის: სატანჯველი როგორ დავძლიო!

ღვთისავარ

მებრალვის იგი, მაზე მეტად მებრალვი შენა!
რა ნუგეში გცე?—გამიქვავდა უბედურს, ენა.

იათამზე

უბედურება ჩემი, ვიგრძენ, მე შეყვსეულათ;
ამ დარდმა, ღონე წამართვა და დამასნეულა.
არ ვიცი რა გზას დავადგე და რა მოვისაზრო.
ჩემი იმედის ყვავილები სუსხმა დააზრო!

ღვთისავარ

ამგვარ წუხილში და ტანჯვაში, სანამდე გავძლებ?
მაინც ვეძიებ გამოსავალს: იმედს ვინ მაძლევს?
შემინდეთ,—წაველ! მიმელიან ჩემი მოძმენი
ჩემებრ ტყვეობით გულმოკლულნი, ქართვლისა ძენი.

იათამზე

მშვიდობით იყავ!

ღვთისავარ

მე, სიმშვიდეს ვინ მომანიჭებს?
მოსაპოებლათ სიმშვიდისა, მე არა ვზრუნავ,
მე, ჩემი ქვეყნის სიყვარულით ისე დავიჭერ,
რომ ამ იარას, უფლის ხელიც ვერ განმიკურნავს.

ჩემი სწრაფვა, თუ, სული,—სხვაგვარ ფიქრებს უნდება.
(წელზე ფარულათ მიკრულ ხანჯალს გამოაჩენს)
აი ხანჯალი! ვით ბალახი, ნაპრალზე ხარობს.
ბებერი მგელი ისე როდი დაძაბუნდება,
რომ თვის ბუნაგის ამომგდების ჯავრ არ იყაროს.

იათამზე

მომინახულე კვლავაც ხშირათ, არ მიმატოვო!
სანუგეშებლათ იმედი მეც იქნებ ვიპოვო.

ღვთისავარ

მივდივარ. რა ვსთქვა, იათამზევ?...

იათამზე

კეთილად გნახე!
(გააცილებს. ფიქრებს ეძლევა)
მე საპყრობილეთ გადამექცა ეს ქვის სასახლე.
სადღა წავიდე? მწირი თავი ვის შევაფარო?
სანამდე ვიჯდე და ცრემლები ფარულათ ვღვარო?!
იქნებ ეგონა, ჩემი ბედის მადლობელი ვარ.
იქნებ ჩემს ტანჯვას აღარ გრძნობდა, აღარ იცოდა;
ღმერთმა იცოდეს,—იმ თოვლივით უცოდველი ვარ,—
ერთხელ, ფარულათ შეხვედრის დროს
რომ გვაცვიოდა.
თავს დამტრიალებს ფიქრი, როგორც ქარი საზარი.
სადღა წასულან ის დღეები, როგორც სიზმარი?
(შემოდის დავითი)

დავითი

კვლავ მოგიკითხე, შვილო ჩემო, მე სიყვარულით!

იათამზე

მუდამ მახარებს თქვენი ხილვა, ჩემო ბატონო!

დავითი

შენს ფარულ ტანჯვას აღარა აქვს,
ვგრძნობ, დასასრული.

და ამ ყოფაში, შვილო ჩემო, როგორ დაგტოვო?
დიდიხანია შენს სიკეთეს მიზნათ ვისახავ.
ობლათ აღზრდილო, ბიძაშენი, ვზრუნავდი შენთვის!
იქნებ ვერ გრძნობდი, და არ ვიცი, რა აზრისა ხარ...

იათამზე

სხვა მე არ ძალმიძს, ერთად-ერთი: მადლობა მეთქმის.

დავითი

სურვილებს ჩემსას, ვთმობდი,—
შენსას ვირჩევდი უმალ.
მაგრამ ტყვეთ ვყავარ დიდი ხნიდან
ერთს ფიქრს იდუმალს;
თუ მართალია, მაშინ მივხვდი, სანთლისა მსგავსათ,
თუ რატომ დნები უცხოეთში...

იათამზე

მქონდეს უფლება,
მე მეკუთვნოდეს, საიდუმლო ჩემათ ითვლება.

დავითი

დაგყვები ნებას, შენს ფაქიზ სულს
როდი მსურს ვავნო.
მეც მქონდეს ნება, საიდუმლო რომ გაგიმყღავნო.

იათამზე

ბრძანეთ, ბატონო!

დავითი

მაზე ფიქრი დიდათ მაწამებს.
გთხოვ, გულგრილობას ბიძაშენსა ნუღარ დასწამებ.
ნურცა განსაზღვრავ მის ცდას შენზე
და ზრუნვას ამით.
თუ გეტყვი: შენი გათხოვების მოვიდა ჟამი!
გული გეტკინა?—არც მე ვხარობ,
მსურს დაგამშვიდო:

უკამურ ყამში ვიმყოფებით ყველანი, შვილო!
მე საქორწილოთ, მოსალხენათ არ მოგიწოდებ,
მე უფრო მეტათ მიწუხს გული, უნდა იცოდე.
ვიზედაც ვამბობ, ვგრძნობ მიმიხვდი და მიღონდები.
საჭირო არის დამიჯერე, დავითს ენდევი!
მაპატიე, რომ შენს უწმინდეს ზრახვებს ვეხები.
ასე მგონია, მალე ნაპრალს გადვიჩეხები;
ისედაც ობოლს, ცხოვრება—ერთს დაგიმარტოვებს;
მე არ ვიქნები, ბიძაშენი,—ვინ გიპატრონებს?!
ვგრძნობ მეთანხმები, მაგრამ თვალზე
ცრემლი გადგება!

იათამზე

ასე რათ მდევნის ბედი, ასე რათ
მტანჯავს, მრისხავს?

დავითი

მაცდუნებს მე ის, რომ ის კაცი გამოგვადგება,
მის დახმარებით დედოფალი, იქნებ, დავიხსნათ.
(იათამზე ყრუთ ქვითინებს. შემოდის ღვთისავარი)
ჩემო ღვთისავარ!... ღმერთმა იქნებ არ მიგვატოვოს...

ღვთისავარ

იმედს არ ვკარგავ არასოდეს, დიდო ბატონო!

დავითი

შენებრ ვაჟკაცებს როს ვხვდებოდი,
მე იმედს მგვრიდნენ.

ღვთისავარ

საქართველოდან მოგზავნილი კაცნი მოვიდნენ,
ალბათ ფარულათ, ეჩქარებათ თქვენთან შეხვედრა.

დავითი (იმედი ჩაესახება)

ჩვენი განზრახვის მისაღწევათ, ღმერთს შევევედროთ!
წავიდეთ, ჩემო ბერო კაცო!

ლვთისავარ

არ მიმატოვოთ,
თუ სახიფათო საქმეს იწყებთ, არ გამომტოვოთ!

დავითი

როგორც ყოველთვის, სახიფათო გზასა ვადგებით,
ჩვენთან ხარ, ჩვენო გმირო გლეხო, გამოგვადგები!
წავიდეთ! გეტყვი საიდუმლოს და გულის ნადებს.

ლვთისავარ

ნულარ მამყოფებთ ტყვეობაში მე უსარგებლოთ.
ამ სიბერის ჟამს საფლავში მე ისე ნუ ჩამდებთ,
რომ ერთხელ მაინც ჩემმა ხმალმა არ გაიელვოს!

დავითი

მივდივარ...

ლვთისავარ

მოგდევთ, მეც ბატონო! მარტო ვერ გავძლებ.

დავ[illegible]

ჩვენი გლეხ-კაცი დაილოცოს! იმედს თქვენ გვაძლევთ.

(მიდიან)

იათამზე

რა გზას დავადგე? მომავალი მთლათ დაითალხა,
მე ხომ ფარულათ ვსდევდი მას,
ვით ვარსკვლავსა. მწამდა.
მე ვერაფერი ვერ გავიგე. სადა ვარ ახლა?
თითქოს ბინდია, თითქოს გზაზე შემომიღამდა.

(ფეხაკრეფით შემოდის ბეჟან)

ბეჟანი

დღეს აქ მესამეთ შემოვდივარ, იქნებ გწყინთ ჩემი
მოსვლა...

იათამზე

ბატონო! გული მიწუხს რომ მარტოთ ვრჩები.

ბეუანი

მე ამას ვამჩნევ და ნუგეშის ცემას ვერ ვბედავ.

იათამზე

რატომ? ბრძანეთ, რათა ბატონო?

ბეუანი

რადგან ვხედავ,
ჩემთან შეხვედრა, საუბარი ჩემთან, გაღონებთ.
ვინ იცის ჩემზე რა მოგიყვეს, რა ჩაგაგონეს,
ვინ იცის, თქვენებრ კარგნი ჩემზე რასა ფიქრობენ.

იათამზე

მხოლოთ ეს ვიცი: სამშობლოში რომ გემდურიდენ,

ბეუანი

მე კიდევ უფრო მეტი ვიცი. ვიყავი ურჩი.
ჩემთა მოძმეთგან სიკვდილს ბევრჯერ—
რომ გადავურჩი.
ციხენი ჩემნი იავარყვეს. ბევრჯერ დამხურეს
თავსა ლეჩაქი...

იათამზე

რისხვა რატომ დაიმსახურეთ?

ბეუანი

პასუხისგებას არავისგან მე არა ვითხოვ.
სამაგიერო ყველა მათგანს ღმერთმა მოკითხოს.
გზა გავიკაფე. აწი უკვე ჩემს მტრებსა ვსძლიე.
მაგრამ მე მათზე სულგრძელი ვარ. შურს არ ვიძიებ...

იათამზე

ვგრძნობ, თითქოს სხვა რამ უნდა მითხრათ.

ბეუანი

მე არ შემშვენის,
რომ შენს წინაშე დავამცირო დღეს ბიძაშენი;
მაგრამ იცოდე, ჩემს დამხობას მუდამ ლამობდა,
ჩემს ცუდ კაცობას და ბოროტსა ჩემზე ამბობდა;

მაგრამ იცოდეს... ჩემს მოძულეს და უარმყოფელს,
მე პატივითა და დიდებით მაინც ვამყოფებ.

იათამზე

რა ძალა შეგწევთ?

ბეჟანი

ამით ვინმეს როდი ვაკვირვებ;
თან გეკითხები: ბიძაშენი რასაც გიპირებს
შენ, მშვენიერო, გულმართალო, რატომ ვერ ხვდები?
იგი ხელს რათ გკრავს? უცხოეთში ხასად გახდები.

იათამზე

ეს ბედისწერა ულმობელი, ვით ავიცილო?

ბეჟანი

გაჰყევი იმას, ვინც ფარულათ შენზე ლოცულობს!

იათამზე

ვინ არის იგი?

ბეჟანი

ის, ვისაც შენ არაფრათ აგდებ,
ვინც ამ ტანჯვაში გითვალთვალებს,
ვინ ჩრდილი დაგდევს,
ვინაც ამტანი იყო მუდამ გაკიცხვის, რისხვის,
გირჩევ, მას ენდო ამ ტანჯვისაგან
მხოლოდ ის გიხსნის!
გზა გაიკაფა! მალე, იგი გვირგვინს ხელს ახლებს.
მასთან თუ ივლი, გელის შვება და სრა-სასახლე.

იათამზე

ვინ არის იგი?

ბეჟანი

იგი მე ვარ, ნუღარ გამრიყავ!

იათამზე

ბოროტო!.. გველის სისინს ვისმენ... წყეულიც იყავ!

(უსაზღვრო აღელვების გამო გაიქცევა)

ბეჟანი

წყევლას ამგვარსა, ჩემი გული ბევრჯერ მოუკლავს.
მაგრამ ის უფრო მატებს ძალას
ჩემს სულის სწრაფვას.
ვაწყდები ყველგან მე სიძულვილს,
როგორც ნარ-ეკალს;
არ ვეპუები მაინც არვის... გზას გავიკაფავ!

მეშვიდე სურათი

(საპყრობილე. შუა ღამე. ქეთევან დედოფალი კედელს
მიყრდნობია, ფიქრებს მისცემია)

ქეთევან დედოფალი

ხვალ მაწამებენ. ახლოვდება,
ვგრძნობ, აღსასრული.
მაგრამ, არ მაკრთობს; იგი მხოლოთ
დამადგამს ნათელს.
ვგრძნობ, ხსნა არ არის მასში, მაგრამ ეს ჩემი სული
დაემგვანება სიბნელეში ანთებულ სანთელს!
ჩემი ცხოვრება,—ეს მუდმივი ტანჯვა და ჯვარცმა
ხვალ დასრულდება; სამუდამოთ მომასვენებენ!
ნიჭნი ყოველნი წარმოვიდა და განმეძარცვა,
მაგრამ მჯერა, რომ ქართველის ძენი გამიხსენებენ!
მომიგონებენ... ოდეს ქართველის ტყე-ველნი, მთანი,
გაიხარებენ მათგან აღზრდილ გმირის განგებით!
და მანამდე კი, მათი დედა, მე—ქეთევანი
ნანგრევებს შორის, ჩემი ქვეყნის,—ლოცვათა ვდგები!
ირგვლივ ღამეა უცხო ქვეყნის და დუმილია!
აენთო სული! ახლა სანთელს, ვგრძნობ, შევედრები.
ჩემი ქვეყანა მწირი, ვისიც წილხვდომილია,—
დედასა ღვთისა, გულმხურვალეთ შევევედრები!
მომეცი ძალა, რომ არ ვიგრძნო მტრის წინა შიში;

გოლგოთისაკენ მიმავალი გზა გამიკვლიე;
შთამბერე სული უტეხი და მადლობის ნიშნათ,—
სიცოცხლე ჩემი, ვითა კვამლი, შენ მიიკმიე!
(ჩამოჯდება. კვლავ ფიქრებს ეძლევა, სმენას
გაიმახვილებს)
ჩურჩული მესმის! ნუთუ ბჭობენ კვლავ, ასე გვიან?!
(ადამიანის ლანდი მოაცგება. შემოდის)
ვინა ხართ თქვენა?

დავითი

დავითი ვარ! ნუ მირისხდებით!
რისთვის მოვსულვარ დედოფალო,
ალბათ, მიხვდებით.

ქეთევან დედოფალი

რას მოასწავებს?

დავითი

დედოფალო, ნუღარ აყოვნებთ!
გზა გახსნილია, დაყოვნება საქმესა ავნებს.
კაცნი მოსულან, გაგყვებიან მცველნი, მხლებლები.
ისე მიაღწევთ სამშვიდობოს, ხელს ვერვინ გახლებთ.

ქეთევან დედოფალი (წარბშეკვრით)

ვერ მოგიწონებთ; საქმეს ამგავარს, ვერვის ვერ ვუქებ;
ამგვარი ხსნა მე ტანჯვას როდი შემიმსუბუქებს.

დავითი (შეშფოთებული)

მაშ, უარს ამბობთ?—ჩემი გული შუა გაიყო!
სხვა რა ვიღონო, თუ კი ეს ცდა ამაო იყო?!

ქეთევან დედოფალი

მხოლოთ, როდესაც არ ვიქნები, თუ გამიხსენებთ,
თუ მიპატრონებთ, სამშობლოში თუ წამასვენებთ
სხვას არას ვითხოვ...

ნუ შეფიქრდები, მე მივდივარ, გზა დამითმია.
როგორც ფოთოლი ხეს მოსწყვიტონ,—
ბედს მომაშორეს.

იათამზე

ვერ გამაგია...

ჯავაირა

აი, ასე... თმა გაისწორე!
მე კი დავჯდები, მოვიქანცე, სული დამძიმდა.

იათამზე

საიდანა ხართ?

ჯავაირა

განძა იცი?—ლამაზ განძიდან!
ხანის ქალი ვარ. მამა ჩემი იქნა ძლეული.
მე გამიტაცეს. ბედმა დღემდე შემომინახა.
კარგია განძა. ყვავის ახლა იქ ბროწეული.
უკანასკნელათ მიმიყვანა, ნეტავ მანახა!

იათამზე

რატომ ვერ ნახავ?

ჯავაირა

სხვაგვარია ჩემი ფიქრები.
გაგანდო?—მალე მე ცოცხალი აღარ ვიქნები.
ყველაზე მეტათ ვუფრთხილდები ახლა ამ საგანს.
ეს მე ამ დილით შევიძინე დევრიშისაგან.

იათამზე

რა არის იგი?

ჯავაირა

მცირე, თითქოს ფშატია წვრილი.
მაგრამ, როდესაც გაჩაღდება თქვენი ქორწილი,
მე ეს მომალხენს; სული ამით დამიმშვიდდება.

იათამზე

რა არის?

ჯავაირა

გეტყვი. ვიცი, ჩემთვის არ შეგშურდება.
საწამლავია!

იათამზე

ბედმა, ასე რათ გაგიმეტა?
ნუგეშს ვეღარ გცემ. მწუხარე ვარ მე შენზე მეტათ.

ჯავაირა

რატომ დამცინი. დამცირებას ხომ მრავალს ვითმენ.

იათამზე (მოისაზრა. მტკიცე გადაწყვეტილებას დაადგა)

ვხედავ, შენი ხსნა ადვილია. ეს მე დამითმე!

ჯავაირა

დამცინი არა?
რაკი გულს გიშლი, საიდუმლოს ჩემსას რა განდობ.

იათამზე

მე მართალს ვამბობ!
(ხელებში წვდება. ჯავაირა ყოყმანის შემდეგ დაუთმობს)

ჯავაირა

გონს ვერ მოვდივარ...

იათამზე

მხოლოთ ერთს გთხოვ, შენთვის მთლათ ადვილს:
გთხოვ, შეუმჩნევლათ მიმიყვანო წამების ადგილს.

მეცხრე სურათი

(მოედანი. შუადღე. შუაში ამართულია საწამებელი ადგილი. მახლობლათ სდგას ჯალათი. გარშემო მოწყობილ ჩარდახებში თანდათან სხდებიან ირანელი წარჩინებულნი პირნი. ცალკე სხდებიან, გარდა ქართველი ტყვეებისა, რომლებიც ერთ კუთხეში შეგროვილან. მათი ქცევა, საუბარი უსაზღვრო მწუხარებას ამჟღავ-

ნებს. თადარიგს შეიარაღებული ირანელი ჯარისკაცნი
იცავენ. ცალკე ღამდგარან დავითი და ღვთისავარი)

პირველი ტყვე

რას მოვესწარი უბედური, ავადმყოფი და
ღონემიხდილი...

მეორე ტყვე

საიდან ხარ?

პირველი ტყვე

მე?—მარტყოფიდან!

მეორე ტყვე

რამდენი ოქრო და ფარჩები! როგორ ლაღობენ!

პირველი ტყვე

რათ მინდა! ჰქონდეთ! ვენაცვალე ჩემს
ძეძვის ღობეს!

მეორე ტყვე

რა ქვეყანაა! რა სიცხეა!—მიწა მთლათ გახმა.
ჩემი სოფლი...

პირველი ტყვე

საით არის?

მეორე ტყვე

ალაზან გაღმა.
რატომ ვახსენებ? პირში ენა რატომ მოძრაობს?!
საბუე ქვია! (უბიდან ამოიღებს) იქაური მიწაა, ძმაო!

პირველი ტყვე (ჩურჩულით)

ამბავი მითხრეს: შენ, სარწმუნოთ თუ მიგაჩნია?
აჯანყებულან, საქართველოს გაუმარჯვნია!
კაცნი მოსულან, ასე უთქვამთ: იყავით მხნეთო,
შახი შეშინდა, მალე ყველას დაგაბრუნებთო!

მეორე ტყვე

მაღალ ღმერთს, ალბათ, ჩვენი თავი არ ავიწყდება.

პირველი ტყვე

მაშ, დედას შვილი სამუდამოთ ხომ არ მოწყდება?!

მეორე ტყვე

ღმერთმა გისმინოს! აგისრულდეს გულის ზრახვები!

პირველი ტყვე

სხვას არ ვთხოვ უფალს, მხოლოთ —
აქ ნუ დავიმარხები.
რა ქვეყანაა, რა მტვრიანი მოვარდა ქარი!

მეორე ტყვე

იქროლოს ძმაო, იქნებ, ჩვენი ქვეყნიდან არის!

ღვთისავარ

იგვიანებენ... იქნებ, რისხვა უფლისა, აგვცდეს.

დავითი

ახლოს იდექი... არ წავიქცე! ვგრძნობ რომ ვბარბაცებ.
ცუდს მიგრძნობს გული... თავს მიხედე!

ღვთისავარ

ვერ მიგატოვებ!

დავითი

ისიც მაფიქრებს, იათამზეს მარტოთ რათ ვსტოვებ?
(გაისმის ამბავის მაუწყებელი საყვირის ხმა)

ღვთისავარ

ეტყობა ჩვენი წინათგრძნობა აღარა ცდება

დავითი

და სატანჯველი დედოფალსა აღარ აცდება.
თუ არის ქვეყნათ უბედური სხვა ისე, ვით მე?
ტანჯვას ამდენსა, დამცირებას როგორღა ვითმენ?!
ღმერთო მაღალო!—ძე კაცისა საყვედურს ვამხელ:
ასე ძლიერათ, ასე მწარეთ რატომ დამამხვე?
რათა ვარ ჩემი მწარე ხვედრის თვალით მნახველი?
რატომ არ ძალმიძს, ხმალზე ისე გავიკრა ხელი,

რომ ულირს საქმეს, სირცხვილს—
მოსვლა არ დავაცალო?
ვიბრძოლო, სანამ სისხლისგან მთლათ არ დავიცალო?!
ასე ძლიერათ რისხვამ ღვთისა, რატომ დამქუხა?
ამაო იყო?—ეს ცხოვრება რას მოვანდომე?
მარტო ვარ, მარტო! ვდგევარ როგორც გამხმარი მუხა!
და ფუღუროში ფიქრნი, როგორც ჭოტნი ბუდობენ!

ღვთისავარ

რა მოგდით?

დავითი

იქნებ, ცუდი რამ ჩავიდინო. აქ ყოფნა მიმძიმს.

ღვთისავარ

მაშ, მოვერიდოთ!

დავითი

დგომა არ ძალმიძს!
(ღვთისავარი დავითს ხელს მოხვევს, გაყავს. გამოჩნდება შალვა. ხალხში შეუმჩნევლად გაერევა. ძლიერი ხმაური და ყრიამული თანდათან ცხრება. შირაზის ბეგლარ-ბეგი და ისკანდერ-ბეგი ცალკე ჩარდახში სხდებიან. გამოჩნდება ქეთევან დედოფალი, რომელსაც მოყვებიან მოლები. დედოფალი მშვიდათ შედგება ამბიონზე. ის ისე დგას, თითქოს გაქვავებულაო. სამარისებური სიჩუმე დიხანს გრძელდება)

პირველი ტყვე

რა ემართება დედოფალსა! ეს რა მოსვლია!

მეორე ტყვე

დამუნჯდა, თუ ის,—ქვათქცეული ანგელოსია?!

ქეთევან დედოფალი

გზა დამისრულდა! უფსკრულისა წინაშე ვდგები!
ეს დღე კი მაინც ლამაზია, როგორ დამშვენდა!
უფსკრული მიხმობს. მაგრამ მე კი, ისე ვმაღლდები,

ისე ახლოს ვარ, ღმერთო, თითქოს ვსაუბრობ შენთან.
უკანასკნელათ ვევედრები, მართალი მრევლის
ულოცნო წევრი, შენს განგებას, შენს ძლიერებას:
ქვეყანას ჩემსას შეუმშრალე თვალთაგან ცრემლი,
და დაუფუძნე, ვით ტაძარი,—ბედნიერება!
როგორც ღრუბლები გაიფანტნენ ჩემი ფიქრები
და ეს ცრემლები, ახლა მე რომ თვალებს მისველებს,
თუკი ამაოთ არ ჩაივლის,—ნეტარ ვიქნები.
აწ, განმისვენე!

(დედოფალს გადასცემენ ჯალათს,—ცალკე აღმართულ ადგილას ავარდება ცეცხლი, რომლის ალში გაეხვევა დედოფალი. ხალხში უსიტყვო ქვითინი ისმის)

შალვა

სიცოცხლე ჩემი, აწ ულირსი, როგორ ავღკვეთო?
უკვე აღარ ხარ, დედოფალო აწ რა ვაკეთო?

ბეჟანი

აქ რა მინდოდა? ღმერთო ჩემო, რა დროს მოველი?
ეს რა გრძნობა მჩხვლეტს, რა გრძნობა მკბენს,
ვით მორიელი?!

(წასვლას აპირებს)

შალვა (შენიშნავს)

შესდექ!

ბეჟანი

ეს შენ ხარ?

შალვა

მე ვარ უკვე რისხვით მოცული.

ბეჟანი

შესდექი თვით შენ. მოისაზრე. ნუ მიორგულებ!
ყველაფერს გამცნობ, მოგიგზავნი მოციქულსა და...

შალვა

ჩვენ შორის ახლა, მხოლოთ ხმალი იმოციქულებს!

ბეჟანი

მიშველეთ! (ბეჟანს გარშემო მოეხვევიან შეიარაღებული ირანელი ჯარისკაცნი. შალვა მათ წრეს გაარღვევს. ბეჟანს განგმირავს. ჯარისკაცნი მასაც დასჭრიან სასიკვდილოთ. დაეცემა. ჩადრიანი ქალების წრიდან პირბადეს აიხდის ერთი ქალი. ის იათამზეა)

იათამზე

შალვა, ძვირფასო! მართალია, ის არის ისა!
(თითქოს გადმოფრინდაო, მასთან გაჩნდება. მოეხვევა)

შალვა (თავს წამოიწევს)

ვისი ცრემლია რომ მეფრქვევა?

იათამზე

იათამზისა!

შალვა

სიკვდილი მებრძვის, აღარა ვარ.
ვგრძნობ, რომ მერევა...

იათამზე

შენთან ვარ, შენთან... განუყრელათ...
(საწამლავს მიიღებს)

შალვა

ბედნიერი ვარ!
შენმა ცრემლებმა დამიგლოვეს? აქ რათ ვაგდივარ?!
ვკვდები! აღარ ვარ!

იათამზე

მეც, ძვირფასო, შენთან მოვდივარ!

მხოლოთ, პირველათ, ვეკონები შენს ძვირფას მკერდსა!
შენს სულსა,—ჩემი, მისდევს ცისკენ,
ვით მტრედი—მტრედსა!

(მოულოდნელი ამბავით გაოცებულებს დუმილი შეიპყრობს. ისკანდერ-ბეგი სვეტს მიეყრდნობა. გონს ვერ მოსულა)

ისკანდერ-ბეგი

დიდო ალახო! შენი ქვეყნის მთებმა, ველებმა
იხილეს დიდი სასწაული, საკვირველება!

ᲓᲐᲡᲐᲡᲠᲣᲚᲘ

Дагестанская ССР

რედაქტორი ა. კ. კელენჯერიძე

ყდა—ლ. ავალიანისა

ხელმოწერილია დასაბეჭდად 1946 წ. 13 სექტემბერს.
სასტ. ფ. 3,75. საავტ. ფ. 3. შეკვეთის № 2041.
ემ 10006. ტირაჟი—3000.

აჭარის ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროს
სტამბა-ლითოგრაფია. ბათუმი, ლუქსემბურგის ქ. № 22.

ფასი 10 მან. =50 g.

ВИКТОР ГАБЕСКИРИЯ

МУЧЕННИЦА КЭТЕВАН

драматическая поэма
(на грузинском языке)

Госиздат Аджарии
Батуми, 1946 г.